



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპრეზიდო



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 180

“\_25\_” ივნისი 2019 წ

## ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტების და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 ივნისის №19.662.866 განკარგულებით გათვალისწინებული უმრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, №43-ში მდებარე 2947 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ში სარდაფის ფართი - 56.24 კვ.მ; I სართული - 268.54 კვ.მ, შენობა ნაგებობა №2-ში სარდაფი - 237.33 კვ.მ. I სართული - 265.84 კვ.მ. II სართული - 246.94 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №3-ში სარდაფი - 245.78 კვ.მ. I სართული - 270.76 კვ.მ. II სართული - 275.95 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №4, №5, №6, №7, №8-ში საერთო ფართით - 453.9 კვ.მ, №5 შენობა-ნაგებობის ქვეშ სარდაფი ფართით - 23.21 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.021) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ფიზიკური პირის ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) საკუთრებაში არსებული უმრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, №13-ში მდებარე 3010 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.249) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის

სანაცვლოდ ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) უარს ამბობს სხვაობაზე თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას.

ბ) ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ხელი არ შეუშალოს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა (ს/კ:200280141) და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურს“ (ს/ნ: 202887787) საქმიანობის უწყვეტად განხორციელებაში. ასევე, ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის ვადით შეზღუდული ექნება №01.16.05.013.021 სავადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების უფლება, გარდა საპროექტო/სანებართვო ღონისძიებების განხორციელებისა.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

**ხელშეკრულება**  
**უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ**

ქ. თბილისი

წ.

**მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი**

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი მიერ - პ/ნ: №-----) და მეორეს მხრივ, ვენერა ალიშევა (შემდგომში „ქონების შემძენი“, პ/ნ: №033108673, მცხ. -----), მის: ქ. თბილისი, -----, წარმოდგენილი მიერ; პ/ნ: -----), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას (პრივატიზების საგანი): ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, N43-ში მდებარე 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ში სარდაფის ფართით - 56.24 კვ.მ; I სართული - 268.54 კვ.მ, შენობა ნაგებობა N2-ში სარდაფი - 237.33 კვ.მ. I სართული - 265.84 კვ.მ. II სართული - 246.94 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N3-ში სარდაფი - 245.78 კვ.მ. I სართული - 270.76 კვ.მ. II სართული - 275.95 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N4, N5, N6, N7, N8-ში საერთო ფართით - 453.9 კვ.მ, N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ სარდაფი ფართით - 23.21 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №----- – მომზადების თარიღი -----

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით, ქონების შემძენი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცემს: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე 3010 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.10.16.004.249).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №----- – მომზადების თარიღი -----

## მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

- 2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება (პრივატიზების საგანი) ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.
- 2.2. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებები ხელშეკრულების მხარეებს გადაეცემათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

## მუხლი 3. საპრივატიზებო პირობა

საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა:

- ა) ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) უარს ამბობს სხვაობაზე თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღირებულებას;
- ბ) ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ხელი არ შეუშალოს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა (ს/კ: 200280141) და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურს“ (ს/ნ: 202887787) საქმიანობის უწყვეტად განხორციელებაში. ასევე ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის ვადით შეზღუდული ექნება N 01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების უფლება, გარდა საპროექტო/სანებართვო ღონისძიებების განხორციელებისა;

## მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

- 4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით (.....).

- 4.2. ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის

მისი საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (.....).

4.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი, მათი ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის.

4.4. ქონების შემძენი ადასტურებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულებით გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთების საბაზო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

4.5. ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.6. ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.7. ქონების შემძენს 2 (ორი) წლის ვადით შეზღუდული აქვს სამშენებლო განვითარების უფლება, გარდა საპროექტო ღონისძიებების განხორციელებისა.

4.8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტებლო.

4.9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

4.10. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

4.11. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღდგება პირვანდელი მდგომარეობა.

## მუხლი 5. სხვა ვალდებულებები

5.1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა (ს/კ:200280141) და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ: 202887787) N 01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან გაყვანა და მათი კუთვნილი მოძრავი ნივთების გატანა.

## მუხლი 6. პირგასამტეხლო

- 6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი).
- 6.2. ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე.

- 6.3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

## მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 8. სხვა პირობები

- 8.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 8.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.
- 8.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
- 8.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

---

ვენერა ალიშევა